ბრძოლა ჩემპიონობისთვის

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 21 ივლისი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:1).

“ჩერნომორეცი”: რომენსკი, ნეჩაევი, ლეშჩუკი, კაჩური (ესე??), პლოსკინა, ფეიდმანი, გოლოვინი, უსტიმჩიკი, შევჩენკო, გახმა?? (დოვბი), შეპელი.

“დინამო”: გოგია, რუხაძე (კოსტავა), კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, დარასელია, შენგელია.

მსაჯი: ვ. ბასკაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 1:0.

შეიძლება სხვა დროს, სხვა ვითარებაში, მატჩი ოდესის “ჩერნომორეცთან” თბილისის დინამოელთათვის არც გასცილებოდა ტურნირის რიგითი შეხვედრის ფარგლებს, მაგრამ ამჟამად შექმნილ ვითარებაში იგი არა მარტო ტურის, არამედ მთელი გათამაშების ერთ–ერთ ცენტრალურ მოვლენად იქცა.

ჩემპიონატის ცხრილში შეიქმნა კონიუნქტურა, რომელიც ორივე გუნდის წინაშე უმნიშვნელოვანეს ამოცანებს სახავდა: თბილისის “”დინამო” თითქმის მთელი პირველი წრეა ერთპიროვნული ლიდერის როლში იმყოფება და ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში მისი ერთ–ერთი უახლოესი კონკურენტია სწორედ ოდესის “ჩერნომორეცი”. 22 ივლისისთვის განსხვავება ამ ორ გუნდს შორის 4 ქულას შეადგენდა. საკმარისი იყო ოდესელებს გაემარჯვათ, რომ სხვაობა 2 ქულამდე დადიოდა, მაგრამ თუ მატჩს მოიგებდნენ თბილისელები, “ჩერნომორეცი” პრაქტიკულად კარგავდა ლიდერის დაწევის სავარაუდო შანსებს, ვინაიდან 6 ქულა ერთობ რთული განდიკაპია და დასაძლევად თითქმის შეუძლებელ საქმეს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ მასპინძლები იბრძოლებდნენ გამარჯვებისთვის. აქტიურად წარმართავდნენ თამაშს.

მაგრამ ერთია გეგმა, ხოლ მეორე – მისი შესრულება. “ჩერნომორეცი” იბრძოდა მთელი შესაძლებლობით, მაქსიმალური მობილიზებით, მაგრამ მის მოქმედებაში მონდომება უფრო მეტი ყო, ვიდრე ოსტატობა. მასპინძელთა თავდამსხმელები სისტემატურად აგებდნენ ბრძოლას თბილისელთა მცველებთან, სადაც არ იყო არც ერთი სუსტი ადგილი, არ იყო შეცდომები. ოდესელებმა შესვენებამდე სულ ორჯერ მიაღწიეს გოგიამდე და “დინამოს” მეკარემ ორივეჯერ შესანიშნავად ითამაშა შეპელისა და შევჩენკოს წინააღმდეგ. “დინამოს” დაცვის ხაზს დიდ დახმარებას უწევდნენ ნახევარმცველები, რომლებიც დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდნენ მინდვრის შუაგულში.

თბილსიელები უნარიანად ახორციელებდნენ სწრაფი და მოულოდნელი კონტრშტევების ტაქტიკას, როლებმაც მათ წარმატება მოუტანა ამ უკიდურესად საპასუხისმგებლო მატჩში. სწორედ ასეთი მანევრი იქნა შესრულებული 35–ე წუთზე, რის შედეგადაც კარიდან სულ რამდენიმე მეტრის დაცილებით მარტოდმარტო აღმოჩნდა მ. მაჩაიძე. მისი უძლიერესი დარტყმა ძელმა მოიგერია. 5 წუთის შემდეგ დინამოელებმა კვლავ შეძლეს კონტრშეტევის განხორციელება, დარასელიამ და შენგელიამ ადგილების ცვლით გაითამაშეს კომბინაცია მარჯვენა ფლანგზე და დარასელიამ ზუსტი დარტყმით გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში – 1:0.

წაგების საშიშროების წინაშე მყოფმა ოდესელებმა მეორე ტაიმში მკვეთრად მოუმატეს ტემპს, განახორციელეს ორი ცვლა, როცა მინდორზე მოიერიშე ფეხბურთელები გამოიყვანეს და ყოველ ღონეს მიმართეს, რათა ეხსნათ მატჩი. მათ

შეძლეს კიდეც მოეპოვებინათ საერთო ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ დინამოელები კვლავ ორგანიზებულად, შეთანხმებულად, შეწყობილად იცავდნენ თავს და ყოველ შესაძლებლობას იყენებდნენ საპასუხო იერიშებისთვის. თბილისელთა აქტიურმა დაცვამ, ნახევარმცველთა დიდმა შრომისუნარიანობამ, თავდამსხმელთა სახიფათო გარღვევებმა "დინამოს" საშუალება მისცა ბოლომდე წარმატებით ებრძოლათ თავის ერთ–ერთ მთავარ კონკურენტთან.

თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებმა ამ მეტად საჭირო გამარჯვებით კიდევ უფრო განიმტკიცეს ლიდერის წამყვანი პოზიციები და მასთან ერთად შესაძლებლობაც, იბრძოლონ ჩემპიონთა ოქროს მედლებისთვის.

რ. ქორიძე.
"ლელო", 25 ივლისი, 1978 წ.